შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

№6 (9.522)

2 მარტი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გამოდის 1937 წლიდან

ნუში – გაუდაბნოებისგან მხსნელი (?!)

27 თებერვალს დედოფლისწყაროში კონფერენცია ჩატარდა, რომელიც მიეძღვნა დედოფლისწყაროს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლას. კონფერენციაზე განიხილეს ჩვენს რაიონში ხეხილის, ე.წ. სამრეწველო ბაღების გაშენების საკითხი. პროექტის ავტორი ვალდემარ შმიდტი გახლავთ, რომელმაც გერმანიაში მიიღო განათლება.

„პროგრამის მიზანია, დედოფლისწყაროელი ფერმერებისთვის გაშენდეს ის კულტურა, რომელიც მომგებიანი იქნება რაიონისთვის. ნუში კი გვალვაგამძლეა და ძვირად ფასობს“

მან, როგორც პროექტის პრეზენტაციისას გაირკვა, კარგად შეისწავლა დედოფლისწყაროს კლიმატური პირობები, მისი სპეციფიკა და გადაწყვიტა, ხეხილის ბაღების გაშენების საპილოტე პროგრამა სწორედ დედოფლისწყაროში განეხორციელებინა. პროექტს გერმანული მხარე აფინანსებს, კერძოდ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) ორგანიზაცია. შეხვედრას ამიტომაც ესწრებოდნენ დიტერ მიულერი, გიორგი კოლბინი (GIZ), სოფიო ახობაძე — ბიომრავალფეროვნების დაცვის ცენტრის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, ნატო მიქაძე — უფროსი მეცნიერთანამშრომელი, მირიან გვრიტიშვილი — პროფესორი, მცენარეთა დაცვის სპეციალისტი. აქვე იყვნენ ფერმერები და მარკეტოლოგებიც.

საუბარი სოფლის მეურნეობის ბევრ მნიშვნელოვან თემას შეეხო. როგორც აღმოჩნდა, კვლავ აქტუალურია ქარსაცავი ზოლების პრობლემა. ფერმერებს შორის წამოიჭრა ქარსაფარი ზოლების აღდგენისა და მისი დაცვის საკითხი. ფერმერთა განმარტებით, **პირველ რიგში საკანონმდებლო ბაზა უნდა მოწესრიგდეს — აუცილებელია ყველამ იცოდეს, ვის ეკუთვნის ქარსაფარი — სახელმწიფოს თუ ფერმერს?** წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მოვლისა და დაცვის საკითხი, ქარსაფარების აღდგენის პირობებშიც, გაძნელდება. მწყემსი და საქონელი შედის აღდგენილ ქარსაფარებში და ხელახლა აფუჭებს მას. საქმის კეთება სწორედ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებით უნდა დაიწყოს.

კონფერენციის მთავარ თემად დედოფლისწყაროს ალაზნისპირა სოფლებში ხეხილის ბაღების გაშენება იქცა. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, სამრეწველო ბაღების გაშენება ხელს შეუწყობს ფინანსური საარსებო საფუძვლის გაუმჯობესებას არა მარტო დედოფლისწყაროს, არამედ რეგიონის მასშტაბით: ხეხილის ბაღები იძლევა სხვადასხვა სახეობის ხილს, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა პროდუქტად იქნეს გადამუშავებული. ამას ემატება მინდვრის კულტურები და შეშა. სპეციალისტთა ვარაუდით, პროგრამის განხორციელება შეაჩერებს დედოფლისწყაროს გაუდაბნოებას და გაზრდის მოსავლიანობას.

ნატო მიქაძე — „ამ პროგრამის მიზანია, დედოფლისწყაროს ფერმერებისთვის გაშენდეს ისეთი კულტურა, რომელიც მომგებიანი იქნება რაიონისთვის, ხელს შეუწყობს ამ კულტურის განვითარებასაც და ფერმერებისთვისაც მომგებიანი იქნება. ნუში, გვალვაგამძლე კულტურაა, მაგრამ ამასთანავე მისი ნაყოფი საკმაოდ ძვირად ფასობს. აქედან გამომდინარე, მისი ფასიც 15-25 ლარამდე მერყეობს. ის გამოიყენება ფარმაკოლოგიაში, პარფიუმერიაში... ქართულ ნუშს უფრო კარგი გემო აქვს, ვიდრე შემოტანილს“.

კონფერენციაზე ხეხილის ბაღების გაშენების იდეა კი მოიწონეს, მაგრამ იქვე დაისვა პროდუქციის გასაღების მტკივნეული საკითხიც. აღინიშნა, რომ ალაზნისპირა სოფლებში — სამთაწყაროსა და ფიროსმანში, სადაც იგეგმება პროექტის განხორციელება, მოსახლეობამ ვენახი სწორედ იმის გამო გაჩეხა, რომ მოწეული ყურძნის რეალიზაციას ვერ ახერხებდა. როგორც ფერმერები აღნიშნავდნენ, სანამ პროდუქციის მოყვანას დაიწყებ, მანამდე ჯერ გასაღების ბაზარი უნდა იშოვო. ამ კითხვაზე პასუხი უკვე აღმოაჩნდა პროექტის ხელმძღვანელს.

მისი განმარტებით, საქართველოში არიან ბიზნესმენები, რომელთაც სურთ ნუში, ოღონდ ხარისხიანი... საუბრის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ადგილობრივი ბაზარი ნუშის სამამულო პროდუქციით გაჯერებული არ არის. ასე, რომ ნუშის ბაღების გაშენებისა და უხვი მოსავლის პირობებში მოსახლეობა დაზარალებული არ უნდა დარჩეს, რადგან ჯერ საქართველოს ბაზარია ამ პროდუქტით დასაკმაყოფილებელი. მანამდე კი, სოფლის მეურნეობის კორპორაცია გაზაფხულზე, სოფელ გამარჯვებაში, ხუთ ჰექტარზე სადემონსტრაციო ბაღის გაშენებას გეგმავს, სადაც 6 ჯიშის ნუშს გამოსცდიან. სადემონსტრაციო ბაღთან ერთად სანერგეს გაკეთებაც იგეგმება და წვეთოვანი საირიგაციო სისტემის მოწყობაც.

ვნახოთ, როგორ შეეთვისება იტალიური ნუში დედოფლისწყაროს ყველაზე ცივ პირობებს. თუ გამოცდამ წარმატებით ჩაიარა, მაშინ ჩვენს რაიონს საკუთარი სანერგე მეურნეობაც ექნება და ყველაზე საუკეთესო ნუშის ბაღიც...

ინგა შიოლაშვილი

სოფლებში დასუფთავების გაცილებით დაბალი ტარიფი იმოქმედებს

გვ.3

15 წლის ნათია ნატროშვილი ევროვიზიისთვის ემზადება

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი

მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

პრეზიდენტი მრავალშვილიანობის წახალისების ინიციატივით გამოვიდა

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, მრავალშვილიანი ოჯახები ერთჯერადი ფულადი დახმარებით წახალისდებიან.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას განაცხადა, 2013 წლის 1 იანვრიდან ყოველი ოჯახი მესამე შვილის დაბადებისას ერთჯერადად 1000, ხოლო მეოთხე და ყოველი მომდევნო ბავშვის დაბადებისას 2000 ლარს მიიღებს. იმავე პერიოდიდან სახელმწიფო მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე მოზარდებსაც დააზღვევს.

მიხეილ სააკაშვილმა აქვე მადლობა გადაუხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს იმ ძალისხმევისათვის, რაც მას ქვეყანაში მრავალშვილიანობის წახალისების საქმეში შეაქვს.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდება

თბილისში, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში" "სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური განვითარებისა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში" პროექტის შემაჯამებელი შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს პროექტის შედეგები და მიღწევები, ასევე საუბარი იყო სამოქალაქო სექტორის მიერ ჯანდაცვის რეფორმის მონიტორინგის შედეგებზე და ჯანდაცვის 2011-2015 სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტზე. პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური განვითარებისა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში" მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ღარიბი მოსახლეობისათვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას საქართველოში," – აცხადებენ პროექტის ორგანიზატორები.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტის წევრები, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, ევროკავშირის ელჩის მოადგილე საქართველოში, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დონორები, მთავრობის წარმომადგენლები, მასმედია და პროექტის ბენეფიციარები.

პირველკლასელების რეგისტრაცია აპრილიდან დაიწყება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, მიმდინარე წელს პირველკლასელების სკოლებში რეგისტრაცია 1 აპრილიდან დაიწყება და ინტერნეტით მოხდება.

მინისტრის თქმით, ყველა პირველკლასელი ბავშვის მშობელს საშუალება ექნება, შვილი სახლიდან გაუსვლელად, სასურველ სკოლაში ინტერნეტის საშუალებით დაარეგისტრიროს.

„1-დან 15 აპრილამდე პირველკლასელების ინტერნეტრეგისტრაცია იმ სკოლებში იქნება შესაძლებელი, სადაც მათი დედმამიშვილები სწავლობენ ან მშობლები მუშაობენ", - აღნიშნა მინისტრმა.

სხვა დანარჩენი ბავშვების ონლაინ რეგისტრაცია 15 აპრილიდან ივნისამდე იქნება შესაძლებელი.

საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები გადამზადდებიან

2012 წელს პირველად, საბუნებისმეტყველო საგნების სერტიფიცირებული პედაგოგები გამოცდას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ექსპერიმენტულ ნაწილში ჩააბარებენ და დამატებით 75 ლარს მიიღებენ.

მასწავლებლის სახლში სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები ყველა საგანში, მათ შორის საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერიმენტულ ნაწილშიც მიმდინარეობს. დღეს, ქიმიის პედაგოგთა ტრენინგს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი დაესწრო.

საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგთა ტრენინგები ექსპერიმენტულ ნაწილში მიზნად ისახავს მასწავლებელთა გადამზადებას, რათა მათ შეძლონ "აინშტაინის ლაბორატორიის" გამოყენებით საგაკვეთილო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა. დარგის სპეციალისტები პედაგოგებს თანამედროვე დანადგარებთან და ისტრუმენტებთან მუშაობის მეთოდებს აცნობენ, ცდების და სხვადასხვა დაკვირვებების ჩატარების წესებს უხსნიან და თვალსაჩინოებების გამოყენებით, სამოდელო გაკვეთილებს ატარებინებენ.

წელს გამოცდებზე დარეგისტრირების შესაძლებლობა უკლებლივ ყველა საგნის პედაგოგს აქვს. სერტიფიცირებული მასწავლებლების სახელფასო სქემა კი ასეთია: ხელფასზე დანამატი 75 ლარი; დამატებით ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში — 200 ლარი; ისინი, ვინც ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემდეგ საუკეთესო 25%-ში ხვდებიან, ხელფასი 1000 ლარი აქვთ; პედაგოგებს კი, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორატორიულ გამოცდას ჩააბარებენ, ხელფასი კიდევ 75 ლარით გაიზრდებათ.

საკრებულო კონკურსს აცხადებს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში სხვადასხვა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსს აცხადებს. როგორც „შირაქს" საკრებულოში განუცხადეს, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში დოკუმენტების მიღება 20 თებერვლიდან დაიწყო.

განაცხადები მიიღება შემდეგ პოზიციებზე:

• საკრებულოს ტექნიკური მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 410 ლარი);

• გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების და საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 500 ლარი);

• გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

• გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 420 ლარი)

• გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის მთავარი სპეციალისტის (ცვლის უფროსის) ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 420 ლარი);

• გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სპეციალისტის (მეხანძრე) 4 ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 360 ლარი);

• გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სპეციალისტის (მძღოლი) 4 ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 360 ლარი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა საბუთების მიღება 2012 წლის 20 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა ყოველდღიურად იწარმოებს.

კონკურსი გასაუბრების ფორმით 2012 წლის 10 მარტს ჩატარდება. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში გასაუბრება შაბათს, დილის 11 საათიდან დაიწყება.

სოფელ საბათლოში აღმოჩენილი ნაქალაქარის გათხრები დაიწყება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოში გასულ წელს აღმოჩენილ ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებს უახლოეს მომავალში გეგმავენ.

მეცნიერები საბათლოში მიწის დამუშავების დროს აღმოჩენილი სვეტის ძირის წარმომავლობას სავარაუდოდ, მარტის თვეში შეისწავლიან. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს" არქეოლოგმა იულონ გაგოშიძემ აცნობა. სვეტის ძირი სოფელ საბათლოში ერთ-ერთმა ადგილობრივმა იაშა აღაჯაიანმა საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავებისას 2011 წლის 10 აპრილს აღმოაჩინა. ექსპერტების თქმით, შესაძლოა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაქალაქარი გაითხაროს.

„ჩვენი მიზანია, დავადგინოთ ძეგლის რაობა და დავიცვათ შემდგომი განადგურებისგან. უნდა განვსაზღვროთ, რამდენად პერსპექტიულია და რისი გაკეთება შეიძლება მის შესასწავლად. ის, რომ მნიშვნელოვან აღმოჩენასთან გვაქვს საქმე, უკვე თავისთავად ცხადია", - აღნიშნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა იულონ გაგოშიძემ.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ საბათლოში აღმოჩენილი უცნობი წარმომავლობის სვეტის ძირი, ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში აგებული შენობის ნაწილი უნდა იყოს. სვეტის ძირი ამჟამად ილიას უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ინახება. ექსპერტიზის შემდეგ გახდება ცნობილი, იყო თუ არა საბათლოში რომაელი ლეგიონერების დროებითი სადგომი.

ჩურჩხელის ექსპორტი შემცირდა

2011 წელს 2010 წელთან შედარებით საქართველოდან 56 %-ით ნაკლები ჩურჩხელა გავიდა. 2011 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ 36 ტონა ჩურჩხელა გავიდა, მაშინ როდესაც 2010 წელს საქართველოდან 80 ტონა ჩურჩხელაა გატანილი.

სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს საქართველოდან ექსპორტზე 79,1 ათასი დოლარის ღირებულების ჩურჩხელა გავიდა, ხოლო 2010 წელს კი 208,1 ათასი დოლარის ჩურჩხელა.

„საქსტატის" ინფორმაციით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართული ჩურჩხელის ექსპორტი იტალიაში, ლიტვასა და საფრანგეთშია განხორციელებული.

სათნოების სახლის დირექტორი გათავისუფლდა

სათნოების სახლის დირექტორის თანამდებობა ვაკანტურია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ბაღაშვილის განცხადებით, უფასო სასადილოს ხელმძღვანელი თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გათავისუფლდა.

„24 თებერვალს ნუგზარ მახარაშვილი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. ჩემი ინფორმაციით, ის სამუშაოდ სხვა სამსახურში გადავიდა. დირექტორის ადგილი ამჟამად ვაკანტურია. ახალი დირექტორი ბრძანების საფუძველზე დაინიშნება", - აღნიშნა ლევან ბაღაშვილმა.

ნუგზარ მახარაშვილმა თანამდებობის დატოვების მიზეზების თაობაზე კომენტარი არ გააკეთა. ის ამ თანამდებობაზე 2011 წლის თებერვლიდან მას შემდეგ დაინიშნა, რაც რაიონში მოქმედი ორი უფასო სასადილო გაერთიანდა. ოპტიმიზაციის შედეგად, ახლადდაფუძნებული სათნოების სახლი ყოფილი „სავანეს" შენობაში განთავსდა. ააიპ „დედოფლისწყაროს სათნოების სახლ"-ის დირექტორად კი ნუგზარ მახარაშვილი დაინიშნა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი თავის დროზე გაზეთ „შირაქთან" საუბარში ოპტიმიზაციის აუცილებლობას იმით ხსნიდა, რომ სათნოების სახლ „სავანეს", რომელიც გაერო-სა და სხვადასხვა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ მარაგდებოდა, მაგრამ ბოლო დროს ყველა სახის დაფინანსება შეუწყდა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მათი მზრუნველობაც საკუთარ თავზე აეღო.

ხელოვანთა კავშირის ფესტივალი კახეთში

24 თებერვალს ქალაქ თელავში საქართველოს ხელოვანთა კავშირის - „ხელოვანები მომავლისათვის" ტრადიციული ფესტივალი „ფესტივალიდან ფესტივალამდე" ჩატარდა, რომელსაც კახეთის მხარის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი დაესწრო. მისი განცხადებით, აღნიშნული პროექტები მომავალი თაობების კულტურულ ცხოვრებას კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს და მათი ნიჭიერების გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა.

პროექტი ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკური ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავების" ფარგლებში ხორციელდება. პროექტის მხარდამჭერია პრეზიდენტის სამხარეო ადმინისტრაცია კახეთის რეგიონში.

კონცერტი თელავის სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში გაიმართა და მასში მონაწილეობა ფესტივალის ლაურეატმა და ნომინანტმა ვირტუოზმა მუსიკოსებმა მიიღეს. საფესტივალო პროექტს წელს 5 წელი შეუსრულდა.

პროექტების ხელმძღვანელია საქართველოს ხელოვანთა კავშირის თავმჯდომარე მუსიკოსი ნინო კუპატაძე. წელს საიუბილეო ფესტივალი მისი პედაგოგის, დამსახურებული მუსიკოსის, პროფესორ ემილ გურევიჩის ხსოვნას მიეძღვნება.

ისრაელის ჯვრის მონასტერი, შესაძლოა, საქართველოს დაუბრუნდეს

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, "ისრაელის ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს".

ამის შესახებ სააკაშვილმა დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სამხედრო მოსამსახურებთან სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



„წელს ციხეს აღ-ჩვენ ახალ-რომელიც თა-ვადგენთ, ნვალებას ვის ბრწყი-ბს. ამასთან, დაიბრუნე-ეკლესია-მო-უამრავი უკვე აღვად-ნასტერი ასევე წელს გინეთ. საკათედრო ფოთის და ქუთაისში ტაძრისა ტაძრის რეს-ბაგრატის ტავრაციას ვამთავრებთ. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ მე ჯგუფი შევქმენი, რომელიც ისრაელში ჯვრის მონასტრის გამოსყიდვაზე, დაბრუნებაზე მუშაობს. მე მათ მივეცი დავალება, რომ ისრაელის მთავრობასთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეთ. ჩემის მხრივ, ისრაელის მთავრობას მადლობას მოვახსენებ ჯვრის მონასტერში დაცული სიწმინდეების გადარჩენისათვის. რაც შეეხება ჩვენს ძეგლებს თურქეთში, ეს ქართული კულტურის უნიკალური მემკვიდრეობაა, რომელთაც დანგრევა და განადგურება დაემუქრა. ჩვენ თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკებებს ვანარმოებთ, რომ მათი გადარჩენა ყველა წესისა და პირველადი იერის დაცვით მოხდეს", - განაცხადა სააკაშვილმა.

სოფლებში დასუფთავების გაცილებით დაბალი ტარიფი იმოქმედებს

დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახური, შპს „სერვისი 2007“ მარტის თვიდან დამატებით მუნიციპალიტეტის 5 სოფელს მოემსახურება. წინასწარი ინფორმაციით, სპეციალური გრაფიკის მიხედვით სოფლებში მუშაობა თებერვლიდან იგეგმებოდა, თუმცა, როგორც სამსახურის უფროსი ილია ტალიაშვილი განმარტავს, პროცესის გაჭიანურება ბოლო დროს არსებულმა უამინდობამ გამოიწვია.

„ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები თებერვლიდან უნდა დაგვეწყო, თუმცა დიდთოვლობამ შეგვაფერხა და სოფლებში ამ დრომდე ამიტომ ვერ გავედით. ახლა ყველაფერი მზადყოფნაშია და სოფლებს მარტიდან კვირაში ერთხელ მოვემსახურებით. გადახალასებული ტექნიკა გვაქვს და არანაირი დაბრკოლება არ არსებობს,“ — აღნიშნა ილია ტალიაშვილმა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, უკვე შედგენილია გრაფიკიც, რომლის მიხედვითაც **თითო დღე კვირაში თითო სოფელს დაეთმობა. წინასწარ გაწერილი გეგმის თანახმად, ორშაბათობით მომსახურეობა გაეწევა სოფელ ზემო მაჩხაანს, სამშაბათობით — მირზაანს, ოთხშაბათს — არბოშიკს, ხუთშაბათს — ოზაანს, ხოლო პარასკევს — გამარჯვებას.**

სამსახურის უფროსი განმარტავს, რომ მომსახურება ფასიანი იქნება, თუმცა იქვე იმასაც დასძენს, რომ ქალაქ დედოფლისწყაროსთან შედარებით სოფლებში გადასახადი გაცილებით ნაკლები იქნება. მისი თქმით, საწყის ეტაპზე სოფლებში ნაგვის გადასახადი სულზე 30 თეთრს შეადგენს: **„სოფლის მაცხოვრებლები 1 სულ მოსახლეზე 30 თეთრს გადაიხდიან. თუ უფრო გაიზარდა ჩვენი მომსახურება, მომავალში ტარიფიც გადაიხედება, თუმცა დასაწყისისთვის ასე იქნება,“** — აღნიშნავს ტალიაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი ამბობს, რომ ამ ნაბიჯით ადგილობრივმა თვითმმართველობამ მოსახლეობის თხოვნა გაითვალისწინა და სოფლის მაცხოვრებლების მოთხოვნაც ხშირად სწორედ ამ პრობლემების მოგვარებას ეხებოდა.

„სოფლებში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ნაგვის გატანის საკითხი სოფლებშიც დარეგულირებულიყო. უნდა ვაღიარო, რომ ეს თხოვნა თავდაპირველად სოფელ არბოშიკის მაცხოვრებლებმა წამოაყენეს, შემდეგ ოზაანის, გამარჯვების და დანარჩენი სოფლების მოსახლეობიდანაც ნამოვიდა. ძალიან დადებითად შეხვდნენ ამ საკითხს, უფრო მეტიც, ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენა,“ — აცხადებს ლევან ბაღაშვილი.

„საშინელი ვითარება არის, არბოშიკელების უმრავლესობა ნაგავს ყოველდღიურად ხევში ყრის, სხვა გზა არ არის და როგორ მოვიქცეთ. ნაწილი არხში ყრის. ვცხოვრობთ ასე, ნაგავთან ერთად. ძალიან მადლობლები ვიქნებით რაიონის ხელმძღვანელობის, თუ ჩვენს თხოვნას გულთან

> „უმრავლესობა ნაგავს სახლთან, ზოგი ხევში, ან პირდაპირ გზაზე ყრის. ზაფხულში კი ასე გადაყრილი ნაგავი სახიფათოა“

მიიტანენ და ნაგვის მანქანა მოგვემსახურება, ამაზე უკეთესს სოფლისთვის მართლაც ვერაფერს გააკეთებდნენ. ეს ჩვენი სოფლის ყველა ოჯახს შეეხება და ნამდვილად ამოვისუნთქებთ,“ — აცხადებს სოფელ არბოშიკის მკვიდრი, პენსიონერი სიმონ ალადაშვილი.

„საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა ძალიან მიჭირს. სოფლის თავში ვცხოვრობ და ნაგვის გადასაყრელად სოფლის ბოლოში მივდივარ-ხოლმე. კილომეტრებს მხოლოდ იმიტომ გავდივარ, რომ ნარჩენები ადგილამდე მივიტანო. ყოველდღე ამის კეთებას ფიზიკურად ვერ ვახერხებ, ამიტომ იძულებული ვარ, ერთი კვირის მანძილზე ნარჩენები ტომარაში მოვათავსო, დავაგროვო და ერთიანად წავიღო... ეს მთელი მაჩხაანისთვის დიდი პრობლემაა, დამიჯერეთ, მთელი სოფელი შეწუხებულია ამით. ძალიან გამიხარდა, რომ ამიერიდან სოფლებს კვირაში ერთხელ სპეციალური მანქანა მოემსახურება. ამდენი წელია, ეს პრობლემა ვერაფრით მოგვარდა,“ — აღნიშნავს სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრები პედაგოგი დოდო ბოსტოღანაშვილი.

„მირზაანში ნაგვის გატანის პრობლემა ყველას აქვს. აქეთ დასუფთავების სამსახურის მანქანები არ დადიან და ყველა ძალიან ვწუხდებით. დღეს ნაგავს ყველა ხევებში ყრის და გარემო ბინძურდება. იძულებული ვართ, სადაც ვცხოვრობთ, ყველამ ხევში ჩაყაროს, აბა ქუჩაში ხომ არ დავყრით. ძალიან ვწვალობთ, ავადმყოფი შვილი მყავს და გარეთ ვერც კი გავდივარ. სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი მაქვს. ჩემთვის დიდი შვება იქნება, თუ სამშაბათობით ნაგვის მანქანები ივლიან. ამ შემთხვევაში სოფელი აღარ დანაგვიანდება, აღარც ეპიდემიის გავრცელების საფრთხე და ანტისანიტარია იქნება და მშვიდად ვიქნებით. ეს სიახლე მირზაანში ყველას ძალიან გაუხარდა, დაუჯერებელი და სასიამოვნო ამბავია, მოულოდნელად ველოდებით ჩვენს სოფელში მანქანის გამოჩენას. იმედი გვაქვს, რომ გრაფიკი არ დაირღვევა და ინტენსიურად მოემსახურება გაწამებულ ხალხს,“ — განუცხადა „შირაქს“ სოფელ მირზაანის მკვიდრმა ოლღა ლობჯანიძემ.

„სოფელ გამარჯვებაში უმრავლესობა ნაგავს სახლთან ყრის, ზოგს სხვა გამოსავალი რომ აღარ აქვს, ხევში, ან გზაზე ყრის. ზაფხულში კი ასე გადაყრილი ნაგავი სახიფათოა. თუ რაიონის ხელმძღვანელებმა ეს საკითხი უკვე გადაწყვიტეს და ამიერიდან მუდმივად დაგვეხმარებიან ნაგვის გატანაში, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება... დიდი საქმე გაკეთდება. რაც მეტი რამ გაკეთდება სოფლებში, ჩვენ თავს უფრო უკეთესად ვიგრძნობთ,“ — ამბობს სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები დომენტი ფიროსმანაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

გადასახადების ამოღების მაჩვენებელი უპრეცენდენტოდ გაუმჯობესდა

28 თებერვალს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეოთხე სხდომა ჩატარდა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი უძღვებოდა. მან დეპუტატებს განსახილველად დღის წესრიგით გათვალისწინებული 9 საკითხი წარუდგინა. სხდომაზე დეპუტატებმა მოისმინეს ანგარიში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2011 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. საკრებულომ გასული წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობა ნაყოფიერად მიიჩნია და დადებითად შეაფასა.

ლევან ბაღაშვილმა ბოლო დროს გადასახადების ამოღების მაჩვენებლის უპრეცენდენტოდ გაუმჯობესების თაობაზე გაამახვილა ყურადღება და შესაბამის სამსახურებს ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა: „მინდა გითხრათ, რომ დედოფლისწყაროს ადგილობრივ ბიუჯეტში დიდი გარღვევა გვაქვს, უპრეცენდენტო ფაქტი დაფიქსირდა, ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობით და სწორი მიდგომით გადასახადები გადაჭარბებულად ამოვიღეთ. სწორი მუშაობის შედეგი კი სახეზეა და ეს ციფრებზე აისახა. ამაში წვლილი მიუძღვის, როგორც გამგეობის საფინანსო სამსახურს, ისე საგადასახადო სამსახურს და კიდევ არაერთ მათგანის,“ — აღნიშნა ლევან ბაღაშვილმა.

სხდომამ ცვლილება შეიტანა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 2012 წლის მინიმალური სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 დეკემბრის №34 დადგენილებაში, რაც გულისხმობს, რომ ახლადდაბადებულ ბავშვიან ოჯახებს ამიერიდან აღარ დასჭირდებათ რეგისტრაციის შესახებ ცნობის წარმოდგენა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, რაც მოქალაქეებს გაუმარტივებს მომსახურების პროცედურას.

ცვლილება შევიდა, ასევე, „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ დადგენილებაში. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების (რწმუნებულების) თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 700 ლარით, ხოლო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამ სოფელში: მირზაანში, ფიროსმანში და საბათლოში (სადაც 1000 სულ მოსახლეზე ნაკლები ცხოვრობს) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 600 ლარით. რაც შეეხება სოფლების ტერიტორიული ორგანოების სპეციალისტის ხელფასი 200 ლარიდან 250 ლარამდე გაიზარდა. პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან შევიდა. რწმუნებულის ხელფასი მანამდე 400 ლარი იყო.

> „სოციალურმა პაკეტებმა ძალიან გაამართლა — მისმა კორექტირებამ თანხების დაზოგვის და ეფექტურად გამოყენების საშუალება მოგვცა“

„2011 წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა წარმატებულად ჩაატარა, ამაზე კი ბევრი რამ მეტყველებს, მათ შორის ციფრები... ფაქტია, რომ ეს იყო არა პიარის ნაწილი, არამედ, საქმე, რომელიც სოფელს სტკივა. ბუნებრივია, ყველაფერს ერთბაშად ვერ მოვაწესრიგებთ, მაგრამ აშკარაა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა სოციალურმა პაკეტებმა ძალიან გაამართლა. მოგეხსენებათ, რომ ეს პაკეტები საკრებულომ ეტაპობრივად დახვენა და ამ სახით ნელ-ნელა ჩამოყალიბდა. მთავარი მაინც ისაა, რომ თანხების დაზოგვის საშუალება მოგვეცა და საკრებულოს ძალისხმევით, თანხა უფრო ეფექტურად წარიმართა. მნიშვნელოვანი იყო ასევე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ვიზუალურად თვალშისაცემია. განხორციელდა ასევე ცალკეული ორგანიზაციების ტექნიკური გადახალასება, სულ მალე განახლებული სახანძრო-სამაშველო სამსახურის პრეზენტაცია შედგება და ეს ძალზე მნიშვნელოვანია,“ — აცხადებს დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი.

სხდომის დასასრულს, დეპუტატებმა იმსჯელეს სოფლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის პრიორიტეტების გამოვლენის წესის გამარტივების თაობაზე. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა განმარტა, რომ სოფლებში წელსაც ჩატარდება საერთო კრება, სადაც პრიორიტეტების განსაზღვრა მოხდება:

„გასულ წელს სოფლის კრებებზე გამოვლენილი პრიორიტეტული საკითხები დამატებით გადიოდა მოსახლეობის გამოკითხვას. ამიერიდან ეს პროცედურა გამარტივდება და შესასრულებელი სამუშაოები პირდაპირ ამავე სხდომებზე გადაწყდება. ანუ, ამ ფორმით პრიორიტეტების განსაზღვრის და მოსახლეობის აზრის შესწავლის წესი გამარტივდა და ბევრად დაიხვეწა,“ — ამბობს შანშიაშვილი.

შეგახსენებთ, მიმდინარე წელს, ქვეყანაში შექმნილი უამინდობისა, თუ სხვა გადაუდებელი საკითხების გამო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ რიგგარეშე სხდომა ორჯერ გამართა. თებერვლის თვეში დეპუტატები რიგგარეშე სხდომის ფარგლებში ერთხელ უკვე შეიკრიბნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

გიორგი ბუნტური: — „ოჯახური ძალადობის ფაქტები არ გვაქვს"

რედაქციას 70 წლის მამაკცმა მომართა. ის თავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლად თვლიდა, გასაოცარი ის გახლდათ, რომ იგი საკუთარი ვაჟისგან იყო შეურაწყოფილი, — ,,წუხელ მთელი ღამე თეთრად გავათენე, საკუთარი შვილი ნასვამ მდგომარეობაში მოვიდა და მაგინებდა, საცემლად იწევდა და დამარტყა კიდეც,არც სახლიდან გასვლის შესაძლებლობას მაძლევდა რომ გავცლოდი, მადანაშაულებდა, რატომ არ შევატყობინე მეგობრების ერთ-ერთი თავშეყრის ამბავი,როცა მათ საქეიფოდ დაუძახეს. სამწუხაროდ, მხედველობიდან გამომრჩა და ვერ ვუთხარი,რისთვისაც ბოდიშს ვუხდიდი, მაგრამ მას ეს არ ესმოდა, გვიან გავეპარე და ღამე სათონეში გავათენე, ეს მხოლოდ მიზეზი იყო, ასეთი სახის თავდასხმები სხვა დროსაც არ მაკლია,ამას სისტემატური ხასიათი აქვს. განა ეს სიცოცხლეა? ხშირად თავის მოკვლის სურვილი მიჩნდება, რა გზას მივმართო არ ვიცი, საკუთარი შვილი სახლიდან როგორ გავაგდო, ან ციხისთვის როგორ გავიმეტო?!,"— აცხადებდა მამაკაცი,რომელის სახელს მისივე ინტერესებიდან გამომდინარე არ ვაცხადებთ.

თითქმის იგივე მოხდა გასულ კვირას,როდესაც ერთ-ერთი ბანკიდან გამოსულმა იგივე ასაკს მიღწეულმა სოფელ სამრეკლოს მცხოვრებმა მამაკაცმა ჩვენთან მოისურვა თავისი გულისტკივილის გამხელა,იგი აცხადებდა,რომ მისმა შვილმა მისი პენსიის საფუძველზე ბანკიდან იძულებით გამოატანინა რამდენიმე თვის პენსია იმ პირობით , რომ შემდეგ ყოველთვიურად თავად მისცემდა თანხას, თუმცა, შვილი ფულიანად ქალაქში წავიდა და მშობელი ხელმოცარული დატოვა, მას არც ყოველთვიური თანხის გადახდის პირობა შეუსრულებია. – ,,მშიერი დამტოვა და ისე ვარ გაბოროტებული, რომ მინდა ვუჩივლო, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნის, ვაითუ უარესი დამიშაოს, ან ხალხი რას იტყვის — საკუთარ შვილს როგორ უჩივლაო, ისევ მე დამანაშაულებენ!" — აცხადებდა უპენსიოდ დარჩენილი.

ამგვარი აქტები თვითოეულ ჩვენგანს არაერთხელ მოგვისმენია და შევსწრებივართ კიდეც. სამწუხაროა, მაგრამ ბოლო დროის შედეგების მიხედვით, რომლის თანახმად ოჯახური ძალადიბის ყველაზე დიდი რაოდენობით მსხვერპლნი ქალები არიანო, თანდათან იცვლება, არანაკლები ძალადობის მშხვერპლები მამაკაცებიც ხდებიან, ყოველივე ეს, დამეთანხმებით, ძალიან ძნელი მოსასმენია, აღნიშნული მონათხრობი ოჯახური ძალადობის კლასიკური მაგალითებია, თუ აქამდე ვისმენდით,რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ქმრებისგან შეურაწყოფილი ქალები არიან,ამჯერად გასაოცარია, მაგრამ ძალიან ხშირია, როცა შვილები ძალადობენ მშობლებზე, ხშირია შემთხვევები, როცა შვილები არ ერიდებიან და მშობლებს სიტყვიერი შეურაწყოფით აყენებენ მორალურ ზიანს, ასევე უსწორდებიან ფიზიკურად და ანადგურებენ როგორც ეკონომიური თვალსაზრისით ასევე ფსიქოლოგიურად.

მართალია, ფსიქოლოგების მტკიცებით ოჯახურ ძალადობას მეტ-ნაკლებად ეკონომიური სიდუხჭირე იწვევს, თუმცა ეს არაა ამ გარემოების ზუსტი პასუხი,ამას სამედიცინო და ფსიქოლოგიური კუთხითაც უნდა შევხედოთ. გარკვეულწილად ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ის ადამიანები ხდებიან, ვინც ნაკლებადაა ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიცვას ძალადობისგან თავი, ანდა, ვის მიმართოს, უამრავი ადამიანი კი ისე ხდება ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და ეგუება კიდეც ამ გარემოებას, რომ ვერც კი, ათვითცნობიერებს თუ რა ხდება მის თავს.

მაინც რა არის ოჯახური ძალადობა, რამდენად ხშირია ასეთი ფაქტების დაფიქსირება, როგორ შეიძლება ოჯახური ძალადობისგან თავის დაღწევა, რა სტატისტიკურ მონაცემებს ფლობს ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელი და რამდენად კომპეტენტურია პოლიცია ჩაერიოს და აღმოფხვრას ოჯახური ძალადობა?!...

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით ამ მხრივ ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა კახეთშია,რაიონების მიხედვით კი, ყველაზე მძიმე სურათს ლაგოდეხის რაიონში აწყდებიან.კახეთის რეგიონში გამოკითხული ადამიანების 92% განიცდის ოჯახურ ძალადობას, აქედან 86% ფიზიკურ ძალადობას, 67% ოჯახის წევრებისგან მუდმივად ელის თავდასხმას, 63% მეუღლემ გააუპატიურა, 29% კი, ფეხმძიმობის პერიოდში ქმრიდან ფიზიკურ ძალადობას განიცდიდა,— ეს ყოველივე იმ ფონზე,როდესაც საქართველოში ოჯახები ჯერ კიდევ ერიდებიან ოჯახური ძალადობის გამჟღავნებას.

რა არის გამოსავალი და რით შეგვიძლია დავეხმაროთ მსხვერპლს,ამის თაობაზე „შირაქი" ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ხელმძღვანელს ელისო ამირეჯიბს დაუკავშირდა.

—რას მოიცავს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ თქვენი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პრევენციული მექანიზმები და როგორი გამოიყურება ბოლო პერიოდის მომართვიანობის სტატაისტიკა?

—უპირველესად შევისწავლით ძალადობის მსხვერპლის მდგომარეობას, გააჩნია, რა დახმარება ესაჭიროება მსხვერპლს,სამედიცინო,ფსიქოლოგიური თუ იურიდიული.სწორედ ამის მიხედვით ვმოქმედებთ. უკიდურეს შემთხვევაში, თუ მსხვერპლის სიცოცხლეს ემუქრება სიცოცხლის საშიშროება მაშინ ვუწევთ რეკომენდაციას, რომ თავშესაფარში მოვათავსოთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენი ნაცნობების გარემოცვაში ვუძებნით სამსახურს,რათა ეს პირი თავშესაფრიდან არ მოხვდეს ქუჩაში. ისეც ხდება,რომ მსხვერპლი ურიგდება ოჯახს და უბრუნდება სახლს. გასულ წელს 400-ზე მეტმა ადამიანმა მოგვმართა დახმარებისთვის,რომლებსაც გაეწიათ ჩვენგან კონსულტაცია,როგორც ფსიქოლოგიური,ასევე სამედიცინო და იურიდიული. რამდენიმე მოვათავსეთ თავშესაფარშიც.

—რამდენად ხშირია მომართვიანობა კახეთიდან, რა შემთხვევაში გაიცემა დამცავი და შემაკავებელი ოქმები და რამდენად თანამშრომლობთ პოლიციასთან?

—კახეთიდან საკმაოდ მაღალი მომართვიანობაა,უპირველესად უკავშირდებიან ჩვენს კოორდინათორს კახეთში,ამის თაობაზე დედოფლისწყაროს შემთხვევაში ზუსტი ინფორმაციის მოწდვისთვის შეგიძლიათ კითხოთ ადგილობრივ პოლიციისაც,რადგან ჩვენ პოლიციასთან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ. დამცავი და შემაკავებელი ორდერი სწორედ სასამართლოს მიერ იწერება პოლიციის მისამართით, ამ ორდერის საფუძველზე პოლიცია ასრულებს კანონით გათვალისწინებულ მოვალეობას, ეს ძირითადად ოჯახური ძალადობის საფუძველზე სასამართლოზე გაყრის შემთხვევაში ხდება,პოლიციას კონტროლზე აჰყავს კონკრეტული ოჯახი და ვალდებულია, მისი წარმომადგენელი ორ დღეში ერთხელ მივიდეს და შეახსენოს ოჯახის წევრებს, რომ არ გაიმეორონ და კვლავ არ შევიდნენ კონფლიქტში.

ამ ფონზე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს , შინაგან საქმეთა სამინისტროს დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსმა გიორგი ბუნტურმა სატელეფონო საუბარში მოკლედ აღნიშნა, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტი დედოფლისწყაროს პოლიციას არ აქვს.

იგივეს აღნიშნავს ძალადობის ეროვნული ქსელის კახეთის კოორდინატორი ჯილდა ხარიტონაშვილი —,,ხშირად მომგვმართავენ კონსულტაციისთვის და შესაბამისად ვეხმარებით, მაგრამ დედოფლისწყაროდან, სამწუხაროდ, ნაკლებია მომართვიანობა, არადა, წარმოუდგენელია, რომ ოჯახური ძალადობა არ აღინიშნებოდეს, როგორც ჩანს მოსახლეობა ან არ არის ინფორმირებული, ან რაღაც უშლით ხელს, რომ დახმარება ითხოვონ, მართალია ჩვენ გურჯაანში გვაქვს ოფისი, მაგრამ პოლიციას მაინც ხომ უნდა მიმართავდნენ?!"

—ძირითადად რა კატეგორიის ადამიანები მოგმართავენ, რა შემთხვევებთან გაქვთ საქმე?

—ძირითადად დედები და ბავშვები გვიკავშირდებიან და შველას ითხოვენ,ისინი მეუღლის და მამის ძალადობას ვეღარ უძლებენ,ახლახანს ერთ-ერთი ასეთი დედა თავისი შვილებით გადავიყვანეთ თავშესაფარში, ბოლო დროს გახშირდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მშობლების რაოდენობაც, არიან როგორჩ შეურაცხყოფილი დედები, ასევე მამებიც ან ორივე ერთად. მაგალითად, მყავდა მამა, რომელიც შვილმა გამოაგდო სახლიდან, ის ფსიქოლოგიურ სტრესში იყო, თუ რატომ მოექცა საკუთარი შვილი ასე.

ფაქტია, რომ ოჯახური ძალადობის უამრავი ფაქტი ჩვენს ირგვლივ ძალიან ხშირად ხდება,ეს ყველაფერი ყოვლად დაუფარავად და შეულამაზებლად გვესმის და ვხედავთ, თუმცა, როგორც ჩანს ჩვენს მოქალაქეებში ცუდის მიჩქმალვის და დაფარვის ელემენტი ისე ღრმად ზის, რომ ნაკლებად თუ ცდილობს ვინმე პოლიციას ან ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს მიმართოს. საზოგადოებაც დუმს და სიმშვიდეს ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხედავს, რომ მის მეზობლად შვილმა ლამის მშობლები დახოცოს. ვფიქრობთ, დროა, თითოეულმა მსხვერპლმა და ყველამ ერთად, ძალადობას ვუთხრათ —არა, რითაც თავიდან ავიცილებთ გართულებებს, რომელიც ხშირად ფატალური შედეგებით მთავრდება ხოლმე. თავდამსხმელმა ანუ მოძალადემ კი უნდა შეიგნოს ის, რომ მას არა აქვს სხვა ადამიანით მანიპულირების ანდა მასზე ზეწოლის განახორციელების უფლება. ის უნდა შეეგუოს, რომ ასეთი ქმედებისთვის ყოველთვის მოეკითხება პასუხი.

ლალი მეხრიშვილი

ბანკი „კონსტანტას" ფილიალი ოფიციალურად გაიხსნა

29 თებერვალს ქალაქ დედოფლისწყაროს კიდევ ერთი ბანკი შეემატა. ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქ №62-ში ბანკი „კონსტანტას" ფილიალი გაიხსნა. საზეიმო ვითარებაში ლენტი საქართველოს პარლამენტის წევრმა ავთანდილ ლეკაშვილმა გაჭრა. პრეზენტაციაზე სტუმრად მოვიდნენ ბანკ „კონსტანტას" მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი ლაშა გოგუა, გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი მელანია კუჭუხიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნანა ჩხიკვაძე. ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის და ქალაქის ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები. „ლიბერთი ბანკის" და „კორ სტანდარტ ბანკის" დედოფლისწყაროს ფილიალების მმართველები ნანი ტოკლიკიშვილი და მიხეილ მირიანაშვილი.

სტუმრებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და ბანკ „კონსტანტას" მიერ განვლილ გზაზე, ფილიალის სამომავლო გეგმებზე ისაუბრა დედოფლისწყაროს ფილიალის მმართველმა გიორგი ბეჟაშვილმა.

—კომპანია 1997 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე და საქართველოს მასშტაბით არსებული 30 ფილიალის საშუალებით სრულ საბანკო მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ბანკის საქმიანობა კიდევ უფრო გაიზარდა 2010-2011 წლებში. დღეისთვის ბანკი „კონსტანტა" 32.000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება საქართველოს მასშტაბით და მისი საკრედიტო პორტფელი 118 მილიონ ლარს აჭარბებს. ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე საჭირო გახდა დედოფლისწყაროს ფილიალის გახსნა, სადაც შესაძლებელია სრული საბანკო მომსახურების მიღება როგორც საკრედიტო, ისე საოპერაციო მიმართულებით, როგორიცაა სხვადასხვა მიზნობრიობის სესხებით სარგებლობა, ანგარიშების მომსახურება, ანაბრებით სარგებლობა. ასევე, ფულადი გზავნილების და კომუნალური გადასახადების განხორციელება. აქ ყველა პირობაა შექმნილი კლიენტების კომფორტისა და უმაღლესი ხარისხის საფინანსო მომსახურების მისაღებად. ფილიალში დასაქმებულია 23 თანამშრომელი, რომელთაგან ყველა ადგილობრივია," — თქვა გიორგი ბეჟაშვილმა.

ფილიალის თანამშრომლებს ოფისის გახსნა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს საქართველოს პარლამენტის დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ავთანდილ ლეკაშვილმა, გამგებლის მოადგილემ ალექსანდრე ალულიშვილმა. სტუმრები და მასპინძლები დალოცეს დეკანოზმა ლევანმა და მღვდელმა გაბრიელმა. პრეზენტაცია ალა-ფურშეტით დასრულდა.

ნაირა გორაშვილი

15 წლის ნათია ნატროშვილი ევროვიზიისთვის ემზადება

კლასიკური მუსიკის კონკურსის გრან-პრი დედოფლისწყაროელმა გოგონამ მოიპოვა

კლასიკური მუსიკის მეორე ეროვნული კონკურსის გრან-პრის მფლობელი დედოფლისწყაროელი გოგონა გახდა. კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, გრან-პრი დედოფლისწყაროელ 15 წლის ნათია ნატროშვილს გადაეცა. როგორც გაზეთ „შირაქმა“ გაარკვია, ნათია ევროვიზიის შესარჩევ ტურშიც მიიღებს მონაწილეობას. ნათიას დედოფლისწყაროელი მსმენელი კარგად იცნობს.

როგორც ცნობილია, კლასიკური მუსიკის მეორე ეროვნული კონკურსი 20 თებერვალს გალა-კონცერტით დაიხურა. მასში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან ჩამოსული 107 ბავშვი მონაწილეობდა. გალა-კონცერტი ევგენი მიქელაძის ეროვნულ ცენტრში გაიმართა.

„მთელი საქართველოდან კონკურსში 107 მუსიკოსი მონაწილეობდა. საკმაოდ რთული იყო მათ შორის საუკეთესოს შერჩევა, მაგრამ კონკურსზე უპირატესობა ენიჭება, თუ როგორ დაუკრავს ესა თუ ის მონაწილე: არ უნდა ღელავდეს, უნდა იყოს მომზადებული და ყველა დეტალი ჰქონდეს გათვალისწინებული. ნათიამ ეს ყველაფერი იმდენად კარგად შეძლო, ყველა გაგვაოცა. ჩვენ **გრან-პრის გაცემას არ ვაპირებდით, მაგრამ ნათია ნატროშვილმა ეს დაიმსახურა**”, - განაცხადა ვალერიან შიუკაშვილმა.

გამარჯვებულები 5 ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლინდნენ. მათ შორის იყვნენ: სალომე კაბოსნიძე, მარიამ ობოლაშვილი, გიორგი გიგაშვილი, საბა მძელური, თინათინ კობერიძე, დავით ჯინჯიხაძე, სერგო მარკოსიანი და ნათია ნატროშვილი

სპეციალურად კონკურსის დახურვისთვის გერმანიიდან თბილისში ინგოლშტადტის მუსიკალური სკოლის დირექტორი გიორგი ისაკაძე ჩამოვიდა. კონკურსის ჟიურის წევრები: ირინა იაშვილი (მევიოლინე, პროფესორი), რეზო კიკნაძე (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი) და ვალერიან შიუკაშვილი (ხელოვნების აკადემიის რექტორი) იყვნენ. მან კონკურსის ერთ-ერთ გამარჯვებულს, მევიოლინე მარიამ ობოლაშვილს სპეციალური პრიზი - ვიოლინო გადასცა.

გაზეთი „შირაქი“ გრან-პრის მფლობელს ესაუბრა, როგორც ნათია ამბობს, ის საბავშვო ევროვიზიის შესარჩევ კონკურსშიც მონაწილეობს, რომელიც 11 მარტს გაიმართება და ძალიან უნდა ევროვიზიაზე გავიდეს:

„კონკურსში სულ 107 მონაწილე იყო მთელი საქართველოდან, ძალიან კარგი მუსიკოსები იყვნენ. გულწრფელად რომ გითხრათ, გრან-პრის ნამდვილად არ ველოდი, რადგან იშვიათად გასცემენ ხოლმე. რა თქმა უნდა, უდიდესი სიხარული იყო, როდესაც ამდენ ღირსეულ მუსიკოსს შორის უპირველესი ადგილი მომანიჭეს. უახლოეს მომავალში გერმანელი პროფესორი აპირებს ჩამოსვლას, რომელიც მასტერკლასებს ჩაატარებს და ნიჭიერ ბავშვებს გერმანიაში წაიყვანს. მეც მომისმენს და თუ ბედი გამიღიმებს, ალბათ გერმანიაში წავალ... მიუნხენში მასტერკლასები და კონცერტები გაიმართება. ასევე, 11 მარტს ვახტანგ კახიძის ორკესტრთან ბეთჰოვენის მესამე კონცერტს დავუკრავ... ეს ევროვიზიის შესარჩევი მე-3 ტურია. სამივე ტური წარმატებით გადავლახე და ფინალში გადავედი. კლასიკური მუსიკის ევროვიზიაზე ავსტრიაში საქართველო პირველად მონაწილეობს და გამიხარდება, თუ ფინალში გავალ და ავსტრიაში გავემგზავრები. როდესაც გრან-პრი ავიღე, საჩუქრების სიაში კონსერვატორიის დიდ დარბაზში სოლო კონცერტიც შედიოდა. ასე რომ, სექტემბერში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ორგანყოფილებიან სოლო კონცერტს გავმართავ,“ — აღნიშნავს კონკურსის პრიზიორი.

ნათიას დედა - ლალი ჩერქეზიშვილი და მამა - ზაზა ნატროშვილი დედოფლისწყაროელები არიან, სწორედ ამიტომაც თავს მთლიანად დედოფლისწყაროელად მიიჩნევს. მან საკონცერტო პროგმარამა დედოფლისწყაროს სცენაზე რამდენიმე წლის წინ წარადგინა, ამდენად, მისი გვარი და სახელი დედოფლისწყაროელი მუსიკისმოყვარულებისა, და არამარტო, მათთვის უცხო არ გახლავთ. 2009 წლის მაისში დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის პედაგოგთა მოთხოვნით და ორგანიზებით მან მუსიკალური სკოლის დარბაზში ტოლებთან ერთად კონცერტი გამართა და სხვადასხვა ნაწარმოები შეასრულა.

„არდადეგების პერიოდში ყოველთვის მიწევს დედოფლისწყაროში ჩამოსვლა. ყოველთვის მოხარული ვარ ჩემს მშობლიურ რაიონში სტუმრობით, რადგან აქ არის უამრავი ჩემთვის საყვარელი ადამიანი, ნათესავი თუ მეგობარი. გაზეთ „შირაქის“ გამოხმაურება მართლაც ძალიან გამიხარდა. ნამდვილად მოულოდნელი იყო ჩემთვის. ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით ჩემი ბევრი უახლოესი ნათესავი, მეგობარი, მეზობელი, თუ ნაცნობი შეიტყობს და გაიზიარებს ჩემს სიხარულს. მინდა ვთქვა, რომ **დედოფლისწყაროსთან დიდი სიყვარული მაკავშირებს, მინდა ყველას მხურვალედ გადავუხადო მადლობა. სიამოვნებით ჩავატარებდი კიდევ ერთ კონცერტს ქიზიყელებისათვის. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროელ ხალხს უდიდესი თანადგომისა და მხარდაჭერისათვის,** ასევე დედოფლისწყაროს სახელოვნებო სკოლის წარმომადგენლებს,“ — თბილ სიტყვებს არ იშურებს ნათია.

რაც შეეხება მისი მუსიკით გატაცების ამბავს, ის ამბობს, რომ მუსიკოსების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ის გაზეთ „შირაქთან“ საუბარში არ მალავს, რომ მათ ოჯახში გამუდმებით მუსიკა ისმოდა, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ დედას მისი მუსიკოსობა სულაც არ სურდა.

„დედაჩემი პიანისტია, მამა კარგად მღერის და უნდა ითქვას, რომ ჩვენს ოჯახში სულ მუსიკა ისმოდა. გულწრფელად გითხრათ, დედას არ სურდა, მუსიკას გავყოლოდი, რადგან იცის, რა რთული პროფესიაა, რამდენ შრომას მოითხოვს და ამიტომ არ უნდოდა მისი შვილი „დატანჯულიყო”. შემდეგ გადაწყდა, მუსიკოსი გავმხდარიყავი და ერთი წელი დედასთან ვმეცადინეობდი. შემდეგ თბილისის ფალიაშვილის სახელობის მე-2 ხელოვნების სკოლაში შევედი და უკვე 9 წელია, ლაურა იაშვილთან ვმეცადინეობ.

8 წლისამ პირველი კონცერტი გავმართე. საანგარიშო კონცერტი მუსიკალურ სკოლაში ტარდებოდა და მახსოვს, ელიზბარ ლონდარიძის კონცერტს ვუკრავდი. **ახლაც ცხადად მახსოვს, როგორ ამიკანკალდა ხელები და მუხლები, მაგრამ შემდეგ ჩემს თავს ვუთხარი, რომ ხალხი ჩემს მოსასმენად იყო მოსული და თუ ვინერვიულებდი, არაფერი გამოვიდოდა.** როგორც შემეძლო, ისე წარმოვაჩინე თავი და შემდეგ როგორც სხვებისგან გავიგე, კარგადაც დამიკრავს.

- ახლა თხუთმეტი წლის ვარ. 155-ე საჯარო სკოლაში და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მე-2 ხელოვნების სკოლაში ვსწავლობ, ლაურა იაშვილის კლასში. 2006 წელს მონაწილეობა მივიღე მოცარტის 250-ე წლისთავთან დაკავშირებულ კონკურსში და ლაურეატი გავხდი. 2007 წელსაც ახალგაზრდა პიანისტთა მე-3 საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობა მოვიპოვე, იგივე წარმატება 2009-ში IV კონკურსზეც გავიმეორე; 2008 წელს სამუსიკო სასწავლებლების აღსაზრდელთა მოსმენა-კონკურსზე “გაზაფხული 2008”-ზე გავიმარჯვე;

ამას გარდა, 2010 წელს შოპენის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსის დიპლომანტი გავხდი და პოლონეთში გასამართ შოპენის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობის უფლება მოვიპოვე. ეს კონკურსი 2010 წლის მაისში ჩატარდა ქალაქ შაფარნიაში, სადაც შოპენი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იქ მე-3 ადგილი ავიღე. თბილისის მერიამ მომანიჭა ქართული კულტურის ნორჩი დესპანის წოდება. 2010 შოპენის სახელობის ნორჩ პიანისტთა კონკურსში კვლავ გავიმარჯვე. გასულ წელს ხელოვნების სკოლებს შორის დათვალიერებაზე გრან-პრი ავიღე, ისევე, როგორც ახლა... სულ ეს არის... დღევანდელი ვითარება მიბიძგებს ასმაგად ვიშრომო, რომ მივაღწიო იმას, რაც მსურს. მე კი მსურს გავხდე ცნობილი პიანისტი, გამიცნოს ხალხმა, დავუკრა კარგ ორკესტრებთან მსოფლიოს საუკეთესო დარბაზებში. მართალია, საქართველოში არ არის ჯერ მთლად სათანადო პირობები, მაგრამ სასიკეთოდ ბევრი რამ უმჯობესდება: იმართება კონკურსები, ხელოვნების აკადემიაში მომავალ თაობაზე ძალიან ზრუნავენ. ახალგაზრდას შეუძლია უფასოდ მიიღოს განათლება, გამოვიდეს კონცერტებზე და თუ იმსახურებს, შესაძლოა, საზღვარგარეთაც წაიყვანონ.

ილია მარტყოფლიშვილი

მრავალშვილიან ოჯახებს საჩუქრად წიგნები გადასცეს

28-29 თებერვალს წიგნის გამომცემლობა „პალიტრა L“- ის წარმომადგენლებმა ქალაქ დედოფლისწყაროს №-1 საჯარო სკოლის I სართულზე, მათივე გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნების გამოფენა-გაყიდვა გამართეს.

29 თებერვალს, გამოფენა-გაყიდვის პარალელურად ,,პალიტრა L“-ის თანამშრომლებმა საქველმოქმედო ხასიათის აქციაც მოაწყეს. ორგანიზატორებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რამდენიმე მრავალშვილიან ოჯახს წიგნები უსასყიდლოდ გადასცეს. სასიამოვნო საჩუქარი, რომელიც მათ მიერვე შერჩეული წიგნებისა და სხვადასხვა ტომეულებისაგან შედგებოდა, წილად ხვდათ დედოფლისწყაროში მცხოვრებ **ელგუჯა ცისკარაულის** შვიდშვილიან, ასევე **გელა შიუკაშვილის** ოთხშვილიან და **ნათია წიკლაური-არაბულის** ოთხშვილიან ოჯახებს.

აქციამ დედოფლისწყაროელების განსაკუთრებული კმაყოფილება გამოიწვია. დარბაზში ხალხმრავლობა დილიდანვე შეინიშნებოდა. დამთვალიერებელთა განმარტებით, გამომცემლობამ დედოფლისწყაროელ მომხმარებელს უამრავი საინტერესო გამოცემა შესთავაზა, ასეთი ღონისძიებები კი ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ძალზე მიუწვდომელია. წიგნის მოყვარულები მიიჩნევენ, რომ მსგავსი ხასიათის გამოფენა-გაყიდვები, სხვა ქალაქების მსგავსად, დედოფლისწყაროშიც ხშირად უნდა ტარდებოდეს.

„ძალიან სასიამოვნო იყო, რომ ჩვენივე რაიონში მოგვეცა საშუალება, ასეთი ცნობილი გამომცემლობის საინტერესო ლიტერატურა შეგვერჩია და შეგვეძინა. მოგეხსენებათ, რაიონში მაცხოვრებლებისგან ყველა თბილისში სიარულს ვერ ახერხებს და არც წიგნების მაღაზიებსა თუ სხვადასხვა პრეზენტაციებზე სიარულის ფუფუნება აქვს, არადა, სოფლად წიგნის მოყვარული ძალიან ბევრია. ამის გათვალისწინებით, მისასალმებელი იქნება, თუ ასეთი ღონისძიებები რეგიონებშიც ტრადიციულ ხასიათს მიიღებს,“ — აცხადებდნენ დამთვალიერებლები.

წარმოდგენილი იყო საბავშო და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლიტერატურა, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე. გამოფენის გახსნას დაესწრო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი. აქცია დედოფლისწყაროში სწორედ მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და ,,პალიტრა L“-ის ინიციატივით მოეწყო.

ილია მარტყოფლიშვილი

დედაშვილობის ფასი...

დალი მასწავლებელო, ფეისბუქის ერთ-ერთ გვერდზე თქვენი შვილის რომანის თეორემა ვნახეთ — ასე იწყებდა ყოველი შემომსვლელი მოსწავლე დალი ქუსიკაშვილთან კონტაქტს. მერე ბავშვური ინტერესით თეორემის ახსნას სთხოვდნენ საყვარელ პედაგოგს. დალი მასწავლებელიც დაუზარელად უხსნიდათ თავისი ჯადოსნური ენით ერთადერთი შვილის — მათემატიკურ პრინციპის — „ნებისმიერ სამკუთხედში ფუძესთან მდებარე კუთხის წვეროსთან გავლებულ მედიანასა და ბისექტრისას შორის მოთავსებულ კუთხის სიდიდის შესახებ ჩამოყალიბებულ თეორემას, რომელიც „საქპატენტმა“ გასული წლის დეკემბერში უპრეტენზიოდ დაუპატენტა შრომისმოყვარე ახალგაზრდას.

ვინც სოფელ სამრეკლოში მცხოვრებ დალი ქუსიკაშვილს იცნობს, დაწყებული ქვემო ბოდბის საშუალო სკოლიდან, სადაც სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა და სკოლის სული და გული იყო, შემდეგ კი როცა საცხოვრებლად დედოფლისწყაროს რაიონი არჩია და აქ გაშალა მათემატიკური აზროვნება, არ უნდა გაუკვირდეს, რომ მისმა შვილმა კიდევ მრავალ და უკეთეს წარმატებასაც მიაღწიოს. მაგრამ, ვინც ამ ქალბატონს ვერ იცნობს, გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ისეთი რთული საგანი, რომელიც მათემატიკა და ზოგადი უნარებია, სხვაზე უკეთ შეუძლია მოსწავლის გონებამდე მიიტანოს. მადლობა ღმერთს, XXI საუკუნის თავისუფლად მოაზროვნე ბავშვებსა თუ ახალგაზრდებს აქვთ ცუდისა და კარგის გარჩევის უნარი.სწორედ ამიტომაა, რომ ყველას სურს დალი მასწავლებლის კლასში მოხვდეს და მისი მოსწავლე გახდეს. შედეგიც სახეზეა, სითბოთი და სიმკაცრით შეზავებული ქალბატონი სასწაულებს ახდენს და დღემდე ვერ იხსენებს თავის მოსწავლეებს მისი იმედი არ გაემართლებინოთ. ჰოდა, რა გასაკვირია, სხვებზე თანგადაყოლილ პედაგოგს წარმატებული შვილი ჰყავდეს.

რომან თეთვაძეს მამითაც გამორჩეული გენეტიკა ხვდა წილად. საჯავახოდან წამოსული ეს გვარი განთქმულია ნიჭიერებით. იგი აღათი თეთვაძის, დამსახურებული პედაგოგის ძმიშვილია, რომელმაც მრავალი ღირსეული თაობა აღზარდა და რომლის ხსოვნის სადღეგრძელოც სოფელ ზემო მაჩხაანში პირველი ისმება პედაგოგთა შორის.

რომანის მამა — „მართალ ვანოდ“ წოდებული, ყველასთვის მაგალითი ვანო ძია და ვანო პაპაა, რომელმაც პატიოსნად გაატარა ცხოვრება. კარგახანს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. პრესისა, თუ სქელტანიანი წიგნების კითხვით დღესაც აკვირვებს და მაგალითს აძლევს მოსწავლე-ახალგაზრდობას.

დედ-მამით გამორჩეული რომან თეთვაძე წარჩინებით ამთავრებს ჯერ ქვემო ბოდბის საშუალო სკოლის ცხრა კლასს, შემდგომ კი ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლას. 1994 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რომელიც ასევე წარმატებით დაამთვრა. შემდეგ მუშაობა დაიწყო თსუ სიღნაღის ფილიალში, სადაც ორი წლის მანძილზე ლექციებს კითხულობდა. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო სამუშაოდ თბილისში გადავიდა, სადაც თბილისის საკრებულოს აპარატში კონსულტანტად მუშაობდა. 2008 წლიდან მუშაობდა თბილისის საგადასახადო შემოსავლების სამსახურში, სადაც თავისმა დეკანმა ასეთი რეკომენდაციით წარადგინა:

„რომან თეთვაძე თსუ მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტია. იგი ბაკალავრიატში ჩემი სტუდენტი იყო. მან თავი გამოიჩინა, როგორც ბეჯითმა, შრომისმოყვარე და ნიჭიერმა სტუდენტმა. სამაგალითო იყო ჯგუფის სტუდენტებისთვის. მაგისტრატურაში ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობს თემაზე „საბაჟო გადასახადების სისტემა“. რომანი ხშირად მონაწილეობს სტუდენტთა კონფერენციების და სიმპოზიუმების მუშაობაში. მისი მოხსენებებისთვისა და გამოსვლებისთვის დამახასიათებელია მეცნიერული სიღრმე და მაძიებლობა. სტუდენტ-ახალგაზრდობაში სარგებლობს კარგი ავტორიტეტით.“

თუმცა, სისხლის ყივილმა ბოლო ხანს მაინც იძალა მასში და დედის გზისკენ გადაუხვია. ახალგაზრდა კაცს კარგად ესმის, რომ დედის და პედაგოგის ბოლომდე გაღებული ჯაფა, ღვაწლი, მზრუნველობა და გაუტეხლობა, რომელიც ასე კოდირებულია მასში, არ მისცემს მოდუნების საშუალებას, არც მტერთა სიმრავლეს შეუშინდება.

ამჟამად რომანი თილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში და აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრში მუშაობს, სადაც მათემატიკასა და ზოგად უნარებს ასწავლის.

რომანს იმითაც გაუმართლა, რომ ჰყავს თბილი და მოსიყვარულე მეუღლე — ნესტანი, რომელიც ყველანაირად ეხმარება მეუღლეს პროფესიული წარმატებების მიღწევაში. მათ ოჯახს გვარის გამგრძელებელი — პატარა გიგიც ახალისებს. იმედია, ბიჭი მომავალში მამაზე მეტს გააკეთებს, რითიც არ მოგვეშლება ქართველებს ერთი დიდი სიამაყე — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.“

თამარ ლობჯანიძე

მიეცი ნიჭსა, გზა ფართო...

ტყუილია, ვინც დროის სიმცირეზე იწუწუნებს და იტყვის ესა თუ ის საქმე ამიტომ ვერ გავაკეთეო. თუ საქმე გიყვარს, გული არ მოგასვენებს, დროს მაინც გამონახავ და იმ საქმეს მაინც გააკეთებ. ძალიან მიყვარს ნიჭიერი ადამიანები და ვერ ვისვენებ, მინდა მათ შესახებ ყველამ იცოდეს.

ამჯერად მინდა „შირაქის“ ფურცლებზე მარინა ღვინიაშვილზე ჩემი მოსაზრება გამოვთქვა. ალბათ ყველას ახსოვს, გასული წლის გაზაფხულზე დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მისი ნაქარგების პერსონალური გამოფენა მოეწყო. მესმოდა მისი ქება-დიდება

და გამოფენაზე მეც წავედი სანახავად. ნანახმა კი, მართლაც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 100-მდე ნაქარგი თვალსა და გულს ახარებდა. მიუხედავად იმისა, რომ ქსოვა და ქარგვა ბავშვობიდანვე ჩემი ჰობი იყო, ამ საკითხში თავს კომპეტენტურ პირად არ ვთვლი, ამიტომ მისი შეფასებების ღიად დაფიქსირების უფლება არ მაქვს. შესაძლოა, მის ნამუშევრებს სპეციალისტის თვალით ვერ შევხედო, მაგრამ კმაყოფილების და ქების გამოთქმის უფლებას ის გარემოებაც მაძლევს, რომ საგამოფენო დარბაზში წამდაუწუმ ისმოდა აღტაცების შეძახილები: „ძალიან კარგია“, „დიდებულია“, „არაჩვეულებრივია“; ამასთან ერთად შთაბეჭდილებების წიგნში გაკეთებული ჩანაწერები: „გმადლობ, ამ სასიამოვნო წუთებისთვის“, „ბედნიერი ვარ შენი შემოქმედების ნახვით“, „გმადლობ, რომ არსებობ“ და სხვა მრავალი.

მარინა ღვინიაშვილი სულ ცოტა ხნის წინ გავიცანი და ცხადია, გამოფენაზეც ვისაუბრეთ... ნეტა გენახათ, სახე რაოდენ ბედნიერი გაუხდა. საოცარი აღტაცებით მიყვებოდა, თუ როგორ ქმნიდა თითოეულ ნაქარგს. მართლაც საოცარია, რამხელა ტიტანური შრომაა ჩადებული თითოეულ მათგანში. რამდენი უძილო ღამე, თვალების დაძაბვა, მხრების ტკივილი...

ოჯახის დიასახლისი, შვილების გამზრდელი ქალი არც სამსახურს ღალატობდა და, მე ვიტყოდი, ამ შედევრების შესაქმნელად დროს მაინც პოულობდა. დიახაც, თავმდაბლობაა, დიდი ღირსებაა ადამიანისთვის, მაგრამ ნამეტანიც არაფერი ვარგა. „ვის უნდა მოეწონოს ჩემი ნაქარგებიო,“ „მოცლილია, მეტი საქმე არა აქვსო?“ — ვაითუ ასე თქვანო. ამის გამო ქალბატონ მარინას თავისი უმშვენიერესი ქმნილებები წლების განმავლობაში უჯრაში უძრავად ედო დაკეცილი. „დაბადების დღეზე, ჩემმა შვილებმა ეს გამოფენა მომიძღვნეს და ასეთი საჩუქარი გამიკეთესო,“ — გამომიტყდა ეს საოცარი ქალბატონი.

აფერუმ, ქალბატონო მარინა, ქალიც შენ ყოფილხარ და შვილებიც შენ გაგიზრდია, მათ კი მშობლის დაფასება ნამდვილად სცოდნიათ. კარგად ვიცი, რომ ბევრი სიძნელე ახლავს ყოველივე ამის კეთებას. გასათვალისწინებელია თუნდაც ფინანსური ფაქტორი. ტილოები, ამდენი ძაფები, ჩარჩოები ტრანსპორტირებისა და სხვა უამრავი წვრილმანი... მაგრამ, დამეთანხმებით, ასეთი კარგი ნამუშევრები უქმად სახლში დასაწყობად... შენს ნამუშევრებს დასამალი არაფერი სჭირს ჩემო მარინა, გამოიტანე სამზეოზე, აჩვენე ქვეყანას. პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს ნაქარგები თბილისის ბევრ საგამოფენო დარბაზსაც ღირსეულად დაამშვენებს.

ღმერთმა მოგცეს დიდხანს სიცოცხლე, თვალის ჩინი და ფიზიკური გამძლეობა. იხარე შენი შემოქმედებით და სხვაც გაახარე...

ზიზო ბიკაშვილი

საქველმოქმედო აქცია უნარშეზღუდულებისთვის

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის, შპს ,,ადითი-დედოფლისწყაროს“ ძალისხმევით და საერთაშორისო ასოცოაციის — ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დახმარებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უნარშეზღუდული ადამიანებისთვის, დამატებით კიდევ იქნა შემოტანილი აქტიური ეტლები, რომლის გადაცემაც უკვე დაიწყო. როგორც გაზეთ „შირაქს“ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან აცნობეს,1 მარტის მდგომარეობით, ეტლები გადაეცა ქალაქ დედოფლისწყაროში მცხოვრებ ზაზა იმერლიშვილს და სოფელ სამთაწყაროში მცხოვრებ გივი ბაჩალიაშვილს.

ზაზა იმერლიშვილს ეტლი ოჯახში პირადად მიუტანეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ფონდებთან ურთიერთობის საკითხებში ლალი მანგოშვილმა და შპს ,,ადითის“ დედოფლისწყაროს ფილიალის დირექტორმა ხათუნა ზურიკაშვილმა.

როგორც აქციის ორგანიზატორები განმარტავენ, ეტლების ჩამოტანა ეტაპობრივად მიმდინარეობს და კიდევ ბევრი უნარშეზღუდული ადამიანი მიიღებს ამ საჩუქარს. შეგახსენებთ, გასულ კვირას, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ეტლები უნარშეზღუდულ მოზარდებსაც გადაეცათ.

იმპერიის შავბნელი აჩრდილი

ამ დღეებში, 2007 წელს ამერიკული ფირმის მიერ ესპანეთის სანაპიროებთან ზღვიდან ამოღებული ძველი განძი, აშშ-დან ესპანეთში დააბრუნეს. ორმა ესპანურმა სამხედრო თვითმფრინავმა 17 ტონა ოქრო და ვერცხლი ამერიკიდან მადრიდის სამხედრო ბაზაზე გადაიტანა. განძეულის დაბრუნებამ ბოლო მოუღო ხუთწლიან სასამართლო დავას, თუ ვის ეკუთვნის 370 მილიონი ევროს ღირებულების 600 ათასი ოქროსა და ვერცხლის მონეტა, აშშ-ს თუ ესპანეთს.

1804 წელს ბრიტანელები თავს დაესხნენ ესპანურ სამხედრო ხომალდებს და პორტუგალიის ნაპირებთან ჩაძირეს ესპანური გალეონი "ნუესტა სენიორა დე ლას მერსედესი". ხომალდს ეს განძი პერუდან ესპანეთში, საზღვაო პორტ კადისში გადაჰქონდა. ორასი წლის შემდეგ ეს ზღვის ფსკერზე მწოლიარე განძი ამერიკულმა კომპანია "ოდისეიმ" აღმოაჩინა. ამოიღო და ისე, რომ არ განუცხადებია ხომალდის დასახელება, გადააგზავნა ის ფლორიდაში (აშშ). ანუ, ჩვეულებრივ ენაზე რომ ვთქვათ, სხვისი ქონება მიითვისა. ესპანელებმა ყველაფერი შეიტყეს და იძულებულნი გახდნენ ამერიკული სასამართლოსთვის მიემართათ განძეულის დაბრუნების მოთხოვნით.

ატლანტის სააპელაციო სასამართლომ (ჯორჯიას შტატი) სამართლიანად უარყო "ოდისეის", განძის მაძიებელი ამერიკული კომპანიის, საჩივარი მე - 19 საუკუნეში ჩაძირული ესპანური განძის კუთვნილებასთან დაკავშირებით.

მოტივი: ჩაძირული განძი, 600 000 ოქროსა და ვერცხლის მონეტა, უნდა დაუბრუნდეს ესპანეთის სამეფოს, ვისი საკუთრებაც გახლდათ ის მე - 19 საუკუნეში.

ჯუა საუკუნეებში ესპანეთმა და პორტუგალიამ, ამ ორმა უძლიერესმა საზღვაო სახელმწიფომ, მთელი მსოფლიო გადაინაწილეს - უბრალოდ შუაზე გაიყვეს. ესპანეთის იმპერია გადაჭიმული იყო ევროპიდან ფილიპინებამდე, სადაც როგორც ესპანელი მონარქები ამბობდნენ "მზე არასოდეს ჩადიოდა". მე-15 საუკუნიდან მე-19-მდე ესპანეთში მრავალრიცხოვანი კოლონიებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა აურაცხელი სიმდიდრე და მათ შორის ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები. დანიშნულების ადგილზე ბევრი რამ ვერ აღწევდა - ხის ხომალდები ხშირად ვერ უძლებდნენ ოკეანის სტიქიას და იძირებოდნენ. როგორც ვარაუდობენ, მხოლოდ კადისის ყურეში, ესპანეთის სამხრეთში, ზღვის ფსკერზე ჩაძირულია საერთო ჯამში 24 მილიარდი ევროს ღირებულების ძვირფასი ლითონები, ხოლო სამხრეთ ესპანეთის მთელი ატლანტიკის სანაპიროს გასწვრივ - დაახლოებით 116 მილიარდი ევროს ღირებულების ძვირფასეულობა. ამას მოწმობს ძველი საზღვაო არქივის მონაცემები, რომლებიც სკრუპულოზურად აღრიცხავდნენ ესპანეთსა და მის კოლონიებს შორის საზღვაო მიმოსვლის ყველა დეტალს, დაწყებული 1492 წლიდან, - კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენიდან.

საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, თუ რა მოცულობის ძვირფასი მეტალი შედიოდა კოლონიებიდან ესპანეთში, გეტყვით, რომ მხოლოდ 30 წლის მანძილზე - 1530 -დან 1569 წლამდე, ესპანეთის საპორტო ქალაქ სევილიაში გემებით შეიტანეს 101 ტონა ოქრო და 560 ტონა ვერცხლი!

ასე უმოწყალოდ ძარცვავდა ესპანეთის იმპერია საკუთარ კოლონიებს ამერიკის კონტინენტზე. ართმევდა მათ არა მხოლოდ მატერიალურ ფასეულობებს, არამედ ანადგურებდა ადგილობრივ კულტურულ ძეგლებს, ანგრევდა სულიერებას, ქალაქებს და მთელ სახელწიფოებს. ცნობილია, რომ ინკების (დღევანდელი მექსიკის ტერიტორია) მეფის მონტესუმას გამოსახსნელად, რომლებიც მუხანათურად დაატყვევეს, ესპანელებმა ოქრო მოითხოვეს და მიიღეს კიდეც – ინკებმა ოქროთი პირთამდე აავსეს ოთახი, რომლის სიგრძე იყო 6 მეტრი, სიგანე - 5 და სიმაღლე - 4. გამოსასყიდის მიღების შემდეგ ესპანელებმა მეფე მოკლეს!

ზუსტად ასევე იქცეოდნენ ესპანელი კონკისტადორები პერუშიც, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დღევანდელი პერუს მთავრობამ საჩივრით მიმართა აშშ-ს უმაღლეს სასამართლოს განძის კუთვნილების შესახებ – 600 ათასი ოქროსა და ვერცხლის ეს მონეტა დამზადებულია სწორედ პერუს ტერიტორიაზე, იმ ოქროსაგან, რომელიც ამ ქვეყნის ადგილობრივ საბადოებზეა მოპოვებული და ორასი წლის წინ ესპანურმა ხომალდმა "ნუესტა სენიორა დე ლას მერსედესმა" უკანონოდ გაიტანა ეს განძი პერუდანო.

ამერიკის უმაღლესმა სასამართლომ პერუს მთავრობის ეს საჩივარი არ დააკმაყოფილა, იმ მოტივით, რომ ეს განძი ნამდვილად გაიტანეს პერუს სანაპიროებიდან ესპანური ხომალდით, მაგრამ ეს ტერიტორიები მაშინ ესპანეთის კოლონია იყო და ამიტომ, ყველაფერი, რაც იქ იწარმოებოდა ესპანეთს ეკუთვნისო.

საქმეში ჩაერთნენ ბრიტანელებიც, რომლებმაც ვარაუდი გამოთქვეს, რომ მაძიებელმა ორგანიზაციამ "ოდისეიმ" ეს განძი, ვითომდა, ბრიტანული ხომალდიდან ამოიღო, რომელიც 1641 წელს შტორმის შედეგად ჩაიძირაო..

ერთი სიტყვით, ამ 370 მილიონი ევროს ღირებულების განძზე ხელის მოთბობა ერთდროულად რამდენიმე სახელწიფომ მოინდომა. საბოლოოდ ყველაფერი ყოფილ იმპერიას - ესპანეთს დარჩა. ასეთია მწარე რეალობა.

პერუს კი, რომლის მკვიდრ მოსახლეობას საუკუნების მანძილზე იმონებდნენ, ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ, როგორც კოლონიას, სადაც სასტიკად დევნიდნენ და ხოცავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, არაფერი ერგო იმ ოქროდან, რომელიც ნამდვილად მისია.

მოქმედს ვინ ჩივის, ყოფილი იმპერიებიც მხოლოდ ბოროტებასა და უსამართლობას თესავენ...

მასალა მოამზადა
მიხეილ მღებრიშვილმა

ელგუჯა კიკოლაშვილი



პირველი წელი მიდის უშენოდ, ჩემო ძვირფასო ელგუჯა. 7 მარტს შენი დაბადების დღეა, 60 წლის უნდა გამხდარიყავი. ყოველთვის გიბაროდა შენი დაბადების დღე და გიყვარდა ახლობლებთან ერთად რომ აღნიშნავდი ხოლმე. ახლა კი ყველას მხარი ჩამოუგდე, უშენოდ დაილევა შენი ხსოვნის სადღეგრძელო.

არასოდეს დაგვავიწყდება 23 აგვისტოს თავზარდამცემი დილა, ეს ხომ ყველასთვის მოულოდნელი იყო. შენმა უცაბედმა სიკვდილმა ყველა შეაშფოთა. ვაი, რომ ვერაფერი გიშველეთ. რა უსამართლო ყოფილა ეს ცხოვრება.

მეამაყება, რომ ასეთი სახელი დაუტოვე შენს შვილებს და შვილიშვილებს. წახვედი და დატოვე სევდა, ტკივილი. თურმე დიდი იმედი ყოფილხარ ჩემთვის. მინდა მოგილოცო ეს დღე მაგ სამყაროში. შენს სახელს დავიწყება არ უწერია შენი ახლობლების გულებში. სამაგალითო მეუღლე, მამა და მამამთილი, ასევე უსაყვარლესი პაპა იყავი. რამდენი დროც უნდა გავიდეს, გვინდა, რომ ისეთივე გვახსოვდე, როგორიც იყავი — თბილი და გულკეთილი. ამ დღეს მოვალთ შენს საფლავთან, აგინთებთ სანთლებს და უფალს შევთხოვთ, რომ ნათელში იყო და სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს ღმერთმა.

მეუღლე: იზა ბენაშვილი, **შვილები:** გელა, გია კიკოლაშვილები, **რძლები:** ხათუნა ჯანაშვილი და თამუნა ნატროშვილი, **შვილიშვილები:** იზიკო, ლიკა და საბა.

ლუიზა დემუროვი-სესიტაშვილი

8 მარტი შენი დაბადების დღეა, 75 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავთ, დედა!

შენმა სიკვდილმა დიდსა თუ პატარას გულები დაგვწყვიტა. ალბათ იმიტომ, რომ კეთილი იყავი, ყველასთვის გინდოდა პატივი გეცა, გაჭირვებულს დახმარებოდი და ასეც აკეთებდი. მეცხრე თვეა ჩვენს გვერდით აღარ ხარ. წელინადი და ორი თვე სანოლს იყავი მიჯაჭვული. ძალიან გვეცოდებოდი, ჩუმად ვტიროდით, რადგან ვიცოდით, ვერ გიშველიდით. თუმცა, გამხნევებდით, რწმენას გიღვივებდით. არაფერს გაკლებდით და პატარა ბავშვივით გივლიდით, მაგრამ ვეღარაფერი გიშველეთ, დედა! რაც დრო გადის, უფრო გვენატრები, მეტ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობთ შენს მიმართ. ძალიან განვიცდით უშენობას, ჩვენო კოპწია და კეკლუცო დედიკო.

ძნელია შენს სახლში მისვლა, რადგან იქ აღარა ხარ, მაგრამ მაინც ყოველდღე მივდივართ, რადგან იქ მამაა მარტოდ დარჩენილი. ისიც ძალიან განიცდის უშენობას. ყოველდღე გიხსენებს და ტირის. არ იდარდო, დედა, მამას ჩვენ მივხედავთ, არაფერს მოვაკლებთ. ვცდილობთ, შევუმსუბუქოთ ტკივილი, რომელიც შენი წასვლით განიცადა. ღმერთმა ასე ინება. ვიცით, შენი სული ზეცაში ნათელშია. ამით ვიმსუბუქებთ ტკივილს, ჩვენო საყვარელო დედიკო.

შვილები:
ნინო, მაია და ირმა.

ძმა ზურაბი, რძალი ნორა, ძმისშვილები: კაკო, გულიკო, ეთერ მაჩაბლიშვილები, რძალი მანანა ბოსტოღანაშვილი, სიძეები: ზაურ ნატროშვილი, გია ალადაშვილი ოჯახებით იუწყებიან

გაიოზ მაჩაბლიშვილის

გარდაცვალებას და თანადგომას უცხადებენ მის ოჯახს.

ძმა ფარნაოზი, რძალი ელიკო, ძმიშვილები: კახი, პეპელა მაჩაბლიშვილები, სიძე გვრიტო ჯიბღაშვილი, რძალი ნელი მაჩაბლიშვილი ოჯახებით იუწყებიან

გაიოზ მაჩაბლიშვილის

გარდაცვალებას და თანადგომას უცხადებენ მის ოჯახს.

პრეზიდენტმა ქვევრს ეროვნული ძეგლის სტატუსი მიანიჭა

თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ-ივერია“-ს საკონფერენციო დარბაზში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ UNESCO-ს ნომინაციაზე წარსადგენი საკითხის – “ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის” – განსახილველი საკოორდინაციო შეხვედრა გამართა. ღონისძიება USAID-ის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

შეხვედრაში მონაწილეობა UNESCO-ს საქმეთა ეროვნული კომისიის, საქართველოს საპატრიარქოს, სამინისტროების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ღვინის მწარმოებლებმა მიიღეს. განიხილეს „იუნესკოში“ წარსადგენი ნომინაცია, ქვევრის ღვინის, როგორც არამატერიალური კულტურის ნიმუშის სპეციფიკა და უნიკალობა, ნომინაციაზე მომუშავე ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაო. ასევე საუბარი შეეხო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ „იუნესკო“-ს კონვენციას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და დაცვის სპეციფიკას.

“ქვევრის ღვინის ტრადიციულ ქართულ მეთოდს” მთელს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ქვევრის ღვინის შექმნის ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა მეთოდი, მეცნიერულად დადასტურებულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ტექნოლოგია. საქართველო უკვე მსოფლიო მასშტაბით აღიარებულია, როგორც ღვინის უძველესი ქვეყანა, სადაც ღვინის თემას უკავშირდება ღვინის დამზადების უძველესი ტექნოლოგია და მასთან დაკავშირებული 8000 წლის ისტორიული ტრადიციები. 2003 წელს იუნესკომ მიიღო კონვენცია “არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ”. საქართველო ამ კონვენციას 2007 წელს შეუერთდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშები, კერძოდ ქართული ფოლკლორი, ჯერ კიდევ ამ კონვენციის შექმნამდე ითვლებოდა მსოფლიო დონის შედევრად. საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების მიუხედავად, პირველ ეტაპზე იუნესკოს მსოფლიო არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში წარდგენილი იქნება ნომინაცია ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციული ქართული მეთოდი, რაც მსოფლიოში ქართული ღვინის პრეზენტირებისა და საქართველოს პოპულარიზაციის პერსპექტივას შექმნის.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას, ასევე ტურიზმის სექტორის და მსუბუქი მრეწველობის განვითვარებას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო „იუნესკოში“ ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის” ნომინაციის წარდგენაზე უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს. დოკუმენტაციის შექმნაში სპეციალურად შექმნილი სხვადასხვა დარგის ექსპერტებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი მონაწილეობს.

“არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 8 თებერვალის №91 ბრძანებულებით, “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე გავრცელებულ ღვინის დასაყენებელ და შესანახ თიხის უნიკალურ ჭურჭელს - ქვევრს.

მონატრება

ბოთა ყარალაშვილი



თვალსა და ხელს შუა გაილია ტკივილიანი 40 დღე. 26 თებერვალს, შენდობისა და მიტევების დღეს, წარსდექი უფლის წინაშე. ეჭვიც არ გვეპარება, სამოთხეში დაიდე ბინა, რადგან შენ გამორჩეულად კარგი ადამიანი იყავი. ობლობით გაზრდილმა საუკეთესო განათლება მიიღე. 18 წლისამ რიგითი კოლმეურნიდან დაიწყე შრომითი საქმიანობა და სხვადასხვა პარტიულ და სამეურნეო თანამდებობაზე ათეული წლობით მუშაობისას გამოავლინე მცოდნე და უნარიანი ხელმძღვანელის, ჰუმანური და კეთილი ადამიანის თვისებები. ამიტომ ორგანიზაციები, რომლებსაც სათავეში ედექი, სულ მუდამ წარმატებული იყო. ამისთვის დაგაჯილდოვეს მთავრობის მაღალი ჯილდოებით – შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით, სიგელებით, დიპლომებით.

თანამდებობის პირი იყავ თუ უბრალო პენსიონერი, მუდამ ერთნაირი თანადგომითა და პატივისცემით, სიყვარულითა და სითბოთი ავსებდი ახლობლებს, მეზობლებს და მეგობრებს. არაფერს იშურებდი მათთვის და მუდამ მხარში ედექი. კეთილშობილი იყავ და სიკვდილიც გამორჩეული გერგო, შენს კეთილშობილებას შეენირე. თბილისში, ქალიშვილთან სტუმრად მყოფმა, ვერ აიტანე, როგორ სცემდა და აწამებდა მეზობლად უზნეო არაკაცი ცოლს და გასაშველებლად ჩაერიე. იფიქრე, ჩემს ასაკს და ჭაღარას პატივს დასდებს და დაწყნარდებაო, მაგრამ... გამხეცებულმა უარესად გაიგიჟა თავი და ცემით ამოგხადა სული. სიკვდილშიც გამოვლინდა შენი დიდი ბუნება და ადამიანებისადმი უანგარო დახმარების და თანადგომის სურვილი. შენმა გარდაცვალებამ ყველა შოკში ჩაგვაგდო.

საუკეთესო ოჯახი გქონდა. გვეამაყება შენი შვილები – ლიანა მათემატიკოსია, ასოცირებული პროფესორი, ნათელა მედიცინის მუშაკი. ხუთი შვილიშვილიდან ზოგი ამერიკასა და გერმანიაში მოღვაწეობს, ზოგს საქართველოში საკმაოდ მაღალი თანამდებობები უკავია. თერთმეტი შვილთაშვილი აგრძელებს შენს გენს. იმ დღეს ყველა შეიკრიბა შენს საფლავთან, პატივი მოგაგეს ისე, როგორც იმსახურებდი. დაგინთეს სანთლები და ღმერთს შესთხოვეს, დაგიმკვიდროს სასუფეველი. ჩვენც, შენი მეზობლები არასოდეს დაგივიწყებთ, ბატონო შოთა, ნათელში იყავით.

მეზობლები.

სოფელ ხორნაბუჯის მოსახლეობა ზარალის ანაზღაურებას ითხოვს

კომპანია სს ,,სილქნეტი“, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აწარმოებს მისი კუთვნილი, ექსპლოატაციიდან მოხსნილი, ძველი სატელეფონო მაგისტრალური კაბელების დემონტაჟის სამუშაოებს , რაც არსებული ხელშეკრულებების თანახმად, უნდა დამთავრდეს 2012 წლის 30 ივნისს.

ახალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის გაყვანის მიზნით, დემონტაჟის სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზეც მიმდინარეობს. თუმცა ამ ფაქტს სოფელ ხორნაბუჯის მოსახლეობის მხრიდან არაადექვატური რეაქცია მოჰყვა, რაც დემონტაჟის დროს, მათ საკუთრებაში არსებული, პრივატიზებული ნაკვეთების დაზიანებით იყო განპირობებული.

პრობლემის დარეგულირების მიზნით მოეწყო შეხვედრა სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრებ, დაზარალებულ მესაკუთრეებსა და სს ,,სილქნეტის“ წარმომადგენლებს შორის,რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ემზარ ჯანაშვილი და სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ზაქრო ბატიაშვილი ესწრებოდნენ.

დაზარალებულმა მოსახლეობამ თავიანთი საკუთრების ხელშეუხებლობა და სამუშაოების შეწყვეტა მოითხოვა, თუმცა მეორე მხარემაც მოითხოვა თავისი, კუთვნილი ქონების — მაგისტრალური კაბელების დემონტაჟის უფლება. დავა დიდხანს გაგრძელდა, ორივე მხარე საკუთარ სიმართლეს ამტკიცებდა, რაც ცხარე დებატებში გადაიზარდა. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ დაზიანებული ნაკვეთების მეპატრონეები, დედოფლისწყაროში სს,,სილქნეტის“ წარმომადგენლებს წარუდგენენ მიწის საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის საფუძველზეც მოხდება დაზიანებული ნათესი ფართობების დაანგარიშება ზარალის დადგენის მიზნით (საკომპენსაციო თანხის მიღების პერსპექტივით) და საკითხი განსახილველად და შემდგომი რეაგირებისთვის,თანდართულ სიასთან ერთად, გადაეგზავნება სს ,,სილქნეტის“ ადმინისტრაციას ქალაქ თბილისში.

იყიდება

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ:
595 97 99 01. იკითხეთ ლია.

ტესტი

რამდენად წესრიგში გაქვთ ნერვები?

„ოჰ, ეს ავადმყოფი!“, „შენ სამკურნალო ხარ!“ ალბათ გქონიათ შემთხვევები, როდესაც ასეთი და სხვა მსგავსი ფრაზები თქვენთვისაც დაუდევნებიათ. თუ არასოდეს — ე.ი. ადვილად გაღიზიანებად ადამიანთა კატეგორიას არ მიეკუთვნებით, ხშირად არ ფეთქდებით და შესაბამისად, არც უსიამოვნო შემთხვევების მონაწილე და მსხვერპლი ხართ!

”მწარე დიაგნოზის” შემდეგ ალბათ დაფიქრებულხართ კიდეც — წესრიგში გაქვთ ნერვები? მეტისმეტ გაღიზიანებასა და ნერვიულობას ხომ არ ავლენთ? ყველას რომ არ შესწევს სტრესულ სიტუაციაში თვითკონტროლისა და თავშეკავების უნარი — ეს ცხადია, თუმცა, მეტ-ნაკლებად ერთნაირი რეაგირებისა და მსგავსი რეაქციის ადამიანებს გარკვეულ კატეგორიებად მაინც აჯგუფებენ. მოცემული ტესტი დაგეხმარებათ იმის გარკვევაში, რამდენად წესრიგში გაქვთ ნერვები.

პასუხების ვარიანტები:

„ძალიან“ – 3 ქულა

„არც ისე“ – 1 ქულა

„არავითარ შემთხვევაში“ – 0 ქულა

გაღიზიანებთ თუ არა:

1) გაზეთის დაკუჭული გვერდი, რომლის წაკითხვასაც უნდა შეუდგეთ?

2) ახალგაზრდულად, ლამის „თინეიჯერულად“ გამოწყობილი ხანდაზმული ქალბატონი?

3) მოსაუბრის მეტისმეტი სიახლოვე (მაგალითად, ტრანსპორტში პიკის საათის დროს)?

4) ქუჩაში საჯაროდ მწეველი ქალი?

5) როდესაც ვიღაც თქვენი მიმართულებით ახველებს?

6) ვიღაცის ხმამაღალი სიცილ-ხარხარი უადგილო ადგილას?

7) გამუდმებული ჭკუის დარიგება იმის თაობაზე, თუ რა და როგორ უნდა აკეთოთ?

8) როდესაც საყვარელი ადამიანი მუდმივად იგვიანებს?

9) როდესაც კინოსა თუ თეატრში თქვენს წინ მჯდომი წრიალებს, ვერ ისვენებს და, რაც მთავარია, მუდმივად კომენტარს უკეთებს სცენასა თუ ეკრანზე მიმდინარე მოვლენებს?

10) როდესაც ცდილობენ გიამბონ იმ წიგნის სიუჟეტი, რომლის წაკითხვასაც აპირებთ?

11) როდესაც არასაჭირო ნივთებს გჩუქნიან?

12) ვიღაცის ხმამაღალი საუბარი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში?

13) მეტისმეტად მძაფრი სუნამოს სუნი?

14) როდესაც ვიღაც თქვენ წინაშე იკვნეტს ფრჩხილებს?

15) ადამიანი, რომელიც მეტისმეტად აქტიური და უადგილო ჟესტიკულაციით გესაუბრებათ?

16) ჟარგონებით ან ბარბარიზმებით მოსაუბრე კოლეგა?

შეაჯამეთ ქულები:

0 და მეტი ქულა - თქვენ არ მიეკუთვნებით მშვიდ და მომთმენ ადამიანთა კატეგორიას. ყველაფერი გაღიზიანებთ, წვრილმანებიც კი! მეტისმეტად ფეთქებადი ხართ, ადვილად კარგავთ წონასწორობას, როგორც სამსახურებრივ, ასევე პირად ურთიერთობებში. ანგრევთ საკუთარ ნერვულ სისტემასაც და ანერვიულებთ გარშემო მყოფებსაც! თავი ხელში უნდა აიყვანოთ!

12-დან 49 ქულამდე - თქვენ გაგიმართლათ, რადგან ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელსაც შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ბევრ ცხოვრებისეულ უსიამოვნებას და, რაც მთავარია, ტრაგედიად არ აქციოს ყოფითი ვაებანი! ჩვეულებრივ, მეტისმეტად დაუშვებელი საქციელი და ძალიან გამაღიზიანებელი ფაქტორები გამოგიყვანთ მხოლოდ წყობიდან. უნარი შეგწევთ, “ზურგი შეაქციოთ” უსიამოვნებებს, საკმაოდ ადვილად ივიწყებთ მათ და არ გიძნელდებათ ადამიანთა პატიება!

11 და ნაკლები ქულა - თქვენი ჭეშმარიტად ოლიმპიური სიმშვიდე და რეალური შეხედულებები ცხოვრებაზე ალბათ დიდი ხანია გარშემო მყოფთა გაოცებისა და, შეიძლება ითქვას, კეთილი შურის მიზეზიც კია. შესაძლოა, ეს ტესტი არ არის თქვენი ხასიათის ფარული თვისებების გამოსააშკარავებლად მიმართული, — ამას თქვენ უკეთ განსჯით, — თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თქვენი მწყობრიდან გამოყვანა არც ისე ადვილია! ეს კი თქვენს სასიკეთოდ მეტყველებს.

დასასრულს კი რჩევები მათ, ვინც ატყობს, რომ ნერვები წესრიგში არ აქვს:

ბევრი ისეირნეთ ბუნებაში; ყოველდღიურად უსმინეთ საყვარელ მელოდიას; ხშირი კონტაქტი იქონიეთ იმ ადამიანებთან, ვისთან ყოფნაც გამშვიდებთ; აკეთეთ მხოლოდ საყვარელი საქმე (დროებით მაინც, სანამ კრიზისი გადაგივლით); იკითხეთ საყვარელი ჟანრის ნაწარმოებები, ყოფითი უსიამოვნებებისაგან თავდასაღწევად. გაღიზიანების მომენტში „აფეთქების განსამუხტად“ შეეცადეთ გაიხსენოთ ყველაზე ლამაზი და სანატრელი დღე თქვენი ცხოვრებიდან (აღელვება აუცილებლად გადაგივლით, უარყოფით მუხტს კი დადებითი შეცვლის, თუ, რა თქმა უნდა, თავს მოერევით და ამას შეძლებთ).

ორი პირველი ადგილი კახეთის თასზე კიკ-ბოქსინგში

26 თებერვალს ქ. თელავში ჩატარდა კახეთის თასის გათამაშება კიკ-ბოქსინგში, სადაც დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბიდან 4 სპორტსმენი მონაწილეობდა. ამ ჩემპიონატზე თასის მფლობელები გახდნენ ლევან თეთრაული და ნიკა ჩიტიშვილი, ხოლო მეორე ადგილებზე გავიდნენ ლევან წიკლაური და გიორგი ნატროშვილი.

განსაკუთრებით მინდა აღინიშნოს ლევან თეთრაულის გამოსვლა, რომელიც ახმეტის გუნდის წარმომადგენელს შეხვდა. შეჯიბრებაზე თავიდანვე გამოიკვეთა ლევანის უპირატესობა და მან 2 რაუნდის განმავლობაში 2-ჯერ შეძლო მოწინააღმდეგის ნოკდაუნში ჩაგდება, ხოლო მესამე რაუნდში ლევანმა სუფთა დარტყმებით მოწინააღმდეგე გათიშა და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. რაც შეეხება ნიკა ჩიტიშვილს, მან ორ წონით კატეგორიაში შეძლო გამარჯვება. ის თავის წლოვანებაშიც გახდა ჩემპიონი და ჩვენდა გასაკვირად გამარჯვების მოპოვება 2 წლით უფროსებშიც შეძლო, რაც ნამდვილად სასიამოვნო მოვლენაა ჩვენთვის. შეჯიბრება ჩატარდა: კონტაქტური ორთაბრძოლების და საბრძოლო ხელოვნებათა კახეთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტის ნუკრი ბიჩელაშვილის ორგანიზებით.

შეჯიბრებაზე ასევე მონაწილეობდა გურჯაანის კიკ-ბოქსინგის კლუბი „ამირანი” სოფელ ზემო მაჩხაანის უშუს კლუბი და ახმეტის კიკ-ბოქსინგის 2 კლუბი. შეჯიბრება ასევე ატარებდა გაცნობით ხასიათს, სპორტსმენები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ვფიქრობთ, ესეც მნიშვნელოვანია მომავალი წარმატებისთვის.

ჩვენი სპორტსმენების სახელით, თანადგომისთვის, მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ არა მათი ფინანსური მხარდაჭერა ჩემპიონატზე გამგზავრებას ვერ მოვახერხებდით.

გიორგი ცისკარაული,
მწვრთნელი

ფოტოზე: გიორგი ცისკარაული, ნიკა ჩიტიშვილი და კონტაქტური ორთაბრძოლების კახეთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი ნუკრი ბიჩელაშვილი

ამინდი დედოფლისწყარო

	შაბათი 02.03	კვირა 03.03	ორშაბათი 04.03	სამშაბათი 05.03	ოთხშაბათი 06.03	ხუთშაბათი 07.03	პარასკევი 08.03
დღე	4°	2°	3°	0°	0°	0°	–1°
ღამე	1°	–3°	–1°	–3°	0°	–2°	–2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლებრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი:
ქ. დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 8 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K